

ფინანსური ანგარიშგება

შპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ
(ს/კ: 404433190)

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2019 წლის 31 დეკემბერი (ლარი)	2018 წლის 31 დეკემბერი (ლარი)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	951,466	788,150
	951,466	788,150
მოკლევადიანი აქტივები		
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	2,719,974	601,923
ფული საბანკო ანგარიშებზე	367,001	354,041
წინასწარ გადახდილი გადასახადები	123,382	140,405
	3,210,357	1,096,369
სულ აქტივები	4,161,823	1,884,519
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	-	-
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	4,161,823	1,884,519
	4,161,823	1,884,519
მიმდინარე ვალდებულებები		
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,161,823	1,884,519



შორენა გაფრინდაშვილი
დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	2019, ლარი
შემოსავლები	3,503,511
გაწეული დანახარჯი	(825,678)
საერთო მოგება	2,677,833
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(150,455)
ცვეთა და ამორტიზაცია	(49,455)
მოგება დაბეგვრამდე	2,477,923
მოგების გადასახადის ხარჯი	(30,093)
სულ წლის მოგება და სრული შემოსავალი	2,447,830


შორენა გაფრინდაშვილი
დირექტორი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,884,519	1,884,519
2019 წლის მოგება	-	2,447,830	
გადახდილი დივიდენდი	-	(170,526)	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	4,161,823	4,161,823



შორენა გაფრინდაშვილი
დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება დაბეგვრამდე 2,477,923

კორექტირებები:

ცვეთა და ამორტიზაცია 49,456

ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (2,118,051)

ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში 17,023

ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან 426,351

გადახდილი მოგების გადასახადი (30,093)

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 396,258

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა (212,772)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (212,772)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან


გადახდილი დივიდენდები (170,526)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (170,526)

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (2019) 12,960

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში (2019) 354,041

ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს (2019) 367,001


შორენა გაფრინდამვილი
დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ფრაიბურგ შიფინგ გრუპ დაარსდა 2012 წელს. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N89. კომპანია ახორციელებს საექსპედიტორო საქმიანობას, საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო საკონტეინერო ტრანსპორტირებას. კომპანია ასევე ახდენს უძრავი ქონების იჯარას. კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 3 თანამშრომელი.

2 შედეგების საშუალები

2.1 ბანცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს.

2.2 მომზადების საშუალები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასეებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების მსს ფასს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3 გუალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშება წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშებას.

3.2

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასება რეალური ღირებულებით.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

კომპიუტერული ტექნიკა	- 5-7 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 7-10 წელი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.6

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი წარმოიქმნება მომსახურების შესრულებიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული, კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების მიწოდებით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

3.7

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები მოიცავენ ფულს საბანკო ანგარიშებზე (კომპანია ნაღდი ფულით ოპერაციებს არ ახორციელებს).

4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-120 დღიანია, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

5 2019 წ. ადმინისტრაციული ხარჯები (ლარი)

შრომის ანაზღაურება	122,621
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	19,136
სხვა საგადასახადო ხარჯები	8,698
ჯამი	150,455